№ 7 19 იანვარი, ოთხშაბათი 1866–1877 19 იანვარი, ოთხშაბათი № 7

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба", при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად გარდაცვალებულის სტატს-სეკრეტარის თ. გიორგი კონსტანტინეს ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისა ძმანი თავადნი ივანე და ირაკლი აუწყებენ განსვენებულის ნათესავთ თანამოსამსახურეთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 21 ამ იანვრის თვისას 12 საათზე დღით კლასსიკურ გიმნაზიის ეკკლესიაში ალასრულებენ პანაშვიდს განსვენებულს თავადის მოსახსენებლად.

„დროების"

## ტელეგრამმები

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობისა*)

ბერლინი, 26 (14) იანვარს. სერბიის მმართებლობამ დაასკვნა, რომ სკუპჩინას მიენდოს შემდეგი კითხვის განჩინება — განგრძელდეს ომი, თუ მოლაპარაკება ჩამოაგდონ მშვიდობიანობაზე თათრებსა და სერბიელებს შუა. სკუპჩინამ ამ გარდაწყვეტილებაზე უარი განაცხადა იმ აზრით, რომ ის არ ხდის თავის თავს ამ საქმეში მცოდნეთ. — გაზეთმა ,,ისტოკმა" წარმოსთქვა კონფერენციის უნაყოფობა და მასთანვე მოიგონა ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა, რომელიც მან მოსკოვში წარმოსთქვა. ამ გაზეთს იმედი აქვს, რომ რუსეთი თავის სიტყვას არ შესცვლის. სერბიელები მხოლოდ რუსეთს უცდიან, რომ ხელახლავ დაიწყონ ომი.

სტამბოლი, 27 (15) იანვარს. დღეს დილით იგნატიევი ათინაში მოვიდა და საღამოს კი ათინასკენვე განემგზავრნენ დანარჩენი ელჩები. შავზღვაზე ღელვა არის. ვენგრიელების დეპუტაცია დაბრუნდა.

სტამბოლი. ფიქრობენ, რომ ელჩებს მოლაპარაკება ათინაში ექმნებათ. მითჰადმა ცირკულიარით მიუწერა ყველა გუბერნატორებს, რომ თავიანთ მაზრებში მშვიდობიანობა დაიცვან და ყველას აღუკრძალონ იარაღის ტარება პოლიციის ნებადაურთველათ. ჯარების უფროსი საყვედურს აცხადებს, მისთვის რომ ჩერნოგორიელები უშლიან პროვიანტის შემოტანას და იმულებულ რაცხს თავის თავს იხმაროს იარაღი. პორტა, როგორც სჩანს, დარწმუნებულია, იქონიოს კარვი განწყობილება ინგლისთან და, როგორც ამტკიცებენ, აჩენს მშვიდობიანობის სახეს ყველა ევროპის სახელმწიფოებთან.

ბერლინი. 28 (16) იანვარს. სერბიამ გარდაწყვეტით განაცხადა უარი, რომ ის არას შემთხვევაში მარტოთ-მარტო არ დაეთანხმება პორტას მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება მოახდინოს. სერბია მხოლოთ დათანხმდება მაშინ, როცა სხვა მარწმუნებელი სახელმწიფოებიც მონაწილეობას მიიღებენ და აგრეთვე ჩერნოგორიასთან შეთანხმების შემდეგ. მთავარი მიზანი წინააღმდეგია, რომ მარტოთ-მარტო მან იქონიოს მოლაპარაკება პორტასთან.

ბელგრადში ეშინიათ თათრები არ დაჰყვეს, როცა გარიგების ვადა გასრულდება.

---

## კონფერენციის შედეგი

სტამბოლის კონფერენცია დაიშალა, და დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები დაბრუნდნენ თავ-თავის ქვეყნებში. რადგანც კონფერენციამ ოსმალეთი ევროპის ნებასა და გარდაწყვეტილებას ვერ დაუმორჩილა, ზოგიერთნი ჰფიქრობენ, ვითომ მის შრომას უნაყოფოთ ჩაუვლია. მართალია, ერთის მხრით, რომ კონფერენციამ ვერ დააბოლოვა მშვიდობიანათ „აღმოსავლეთის საქმე," ვერ გააბედნიერა პირდაპირ ოსმალეთის ქრისტიანენი, ვერ დააკმაყოფილა ის პირები, რომელთაც სურდათ, რომ ოსმალეთს თავის ნებით და ძალა დაუტანელათ მიეცა ევროპისათვის ქრისტიანების სრული ბედნიერების მძევალი. მაგრამ ამაების იმედი არც კი არავის უნდა ჰქონოდა. მაგიერათ ზოგიერთ სხვა მხარეებით კონფერენციას დიდი მნიშვნელობა მიეცა, ისეთი, როგორის იმედოვნებაც ძლიერ ძნელი იყო...

დღემდი ოსმალეთი ევროპის მზრუნველობის და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. იმ ტრაქტატის ძალით, რომელმაც ყირიმის ომი მოსპო, არც ერთს სახელმწიფოს არ შეეძლო შეხებოდა ოსმალეთს. რუსეთმა მაშინ მთელს ევროპას სიტყვა მისცა, რომ აღიკრძალავდა ოსმალეთის შეხებას და ოსმალეთთან შეტაკებას. ყველა იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც პარიჟის ტრაქტატზე ხელი მოაწერეს, ერთმანერთს აღუთქვეს, რომ ვინც უნდა შეეხოს ოსმალეთს, იმას ჩვენ წინ აღუდგებითო. სანამ ეს ტრაქტატი ძალაში

---

## ფელეტონი

### მასკარადი

(ნამდვილი სურათი)

ქალაქი ...ისი, სადაც ამ ბედნიერ დღესასწაულებზე მასკარადი იყო, ჯერ არ მოსწრებია და უმეტესს ნაწილს მის მცხოვრებლებისას არც კი გაუგონია, მგონი, თუ რა არის ან რაში მდგომარეობს ეს „მასკარადი". მაშ ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა გვარის აღტაცებით შეეგებებოდნენ მას ისინი, და იმისთანებიც, განსაკუთრებით, რომელთაც მასკარადის „დანიშნულება" ცოტათი, თუ ბევრათ იცოდნენ, ან გაგონებით და ან კიდევ სადმე სხვა ქალაქში ზედ დასწრებით.

ორი კვირით წინ შეიქმნა ლაპარაკი, რომ ესა და ეს საზოგადოება, ამა და ამ საზოგადო საქმის სასარგებლოდ „კეთილშობილთ კლუბის" ზალაში, აპირებს სამს იანვარს მასკარადის გამართვას.

შეინძრა ხალხი! შეიქნა ერთი გაცხარებული ბაასი და ლაპარაკი ამ მომავალ მასკარადზე! — ბრუნდი და მართალი, მოხუცი და ახალგაზდა, გასათხოვარი და გათხოვილი, ქვრივი და ობოლი, ყველა ეპირება „მასკარადნი ბალი" ნახოს! — მცოდნე, გამოცდილ კაცებს ეძებენ, რომ ჰკითხონ-რა იქნება ან რა უნდა იყოს ეს „მასკარადნი ბალი?"

— იმე, თუ არ წევედი და არ ვნახე რაცხაა ეს „მასკარადნი ბალი" მოვკვდები და ის იქნება, — ამბობს ერთი.

— ჰო, წადი და კეთილსაც დაგაყრიან ...რი ქალები. ასე გაგიხდიან მაგ პირის კანს, რომ-ალმური მედებაო, ასე თქვა! — ჩვენს ქალებს თუ მასკა ეჭირვებოდეს, ის მე მკითხე...

— რაო, რას მიზამენ?

— რას გიზმენ და რაც „კაი კაცობა" ჩაგიდენია, კარგი მასკა სულ ყველაფერს მოგიყვება და გიამბობს ისე, რომ თითქოს მოწმედ გყოლოდეს ყველაფერს შენს მოქმედებაში.

— იმე, მართალს ამბობ? ძალიან საფიქრელი ყოფილა ეს „მასკარადნი ბალია", თუ რაცხა... მაგრამ, მითხარი თუ გიყვარდე — ეს მასკაა, თუ რაცხა, ყველას გასაგონათ მეტყვის ჩემს კაი კაცობას, თუ-გამიხმობს ეგერ ჩვენებურად და ყურში ჩამიჩურჩულებს.

— რიგია კი მარტო შენს გასაგონათ გელაპარაკოს, მაგრამ, რადგან აქ ეს პირველი შემთხვევაა, ამისათვის შეიძლება გამოუცდელმა მასკამ ხმა მაღლა, ყველას გასაგონათ მოგიყვეს და გითხრას ყველაფერი.

— ეს ძალიან ყოფილა შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, მაგრამ მაინც წავალ ერთი, რომ რაც უნდა დამემართოს. იმე, რავა ვაცლი შეკაცო ასე ხმა მაღლა ლაპარაკს? რომ მოვა და შეკრებულებაში გამომელაპარაკება, ეგერ გევიხმობ ჩემთვის კუთხეში და ვეტყვი, რომ აქ მითხრას. თუ არ გამომყვა, აი შენ არ მომიკვდე მე იმას ხმა არ გავსცე! ხმას გავსცემ კი არა, ასე ავარიდებ თვალსა და ყურს, როგორც აქედამ და ნ. მთაა. ხალხში ასე თავს რავა გამოვალანძღვინებ, შეკაცო!.

***

ოსტატურად მოიქცა მასკარადის გამმართველი საზოგადოება. აღარ დასჯერდა, რომ კაცებს ორ-ორ მანეთს ართმევდა შესვლის ფულს, უმასკო ქალებსაც ორ-ორი მანეთი შეაწერა. მასკიანებს კი თითო მანეთი მოსთხოვა. აბა, ორი მანეთი როგორ დააკავებდა დედებსა და ქმრებს??

— წახვალ მასკარადში, ბოშო? ეუბნება დედა თავის ქალს.

— რატომ არ წავალ?

— ახლა, მასკაც უნდა გაიკეთო?

— რატომ არ გავიკეთებ? მასკით უფრო იაფათ არ დამიჯდება? მე იაფათ დამიჯდება, მაგრამ იმას კი მე და შენ რომ ვიცით, დედა, ორ მანეთად კი არა, ორ თუმნადაც დაუჯინო მასკარადში ყოფნა. ერთი, თუ ის ისე არ გამოვლანძღე, რომ მეორეთ ველარ გაბედოს მასკარადში წასვლა, ქალი აღარ ვიქნები.

— არ გააწითლო, მე გეტყვი შენ? იმას, შვილო, დიდიხანია შუბლის კანი გაუმაგრდა.... მაგას დავეთხოვოთ და ახლა, ხომ მეც უნდა გამოგვყვე?

— რატომ, რის გეშინიან? კაცები ხომ მასკებში არ იქნებიან?

— მეც იმისი მეშინიან, რომ მარტო ქალები იქნებიან მასკაში და კაცები კი არა. ვისაც რასმე ეტყვი, ორი იმდენს ის გეტყვის, თუ მოახერხა. ზამოტყდომით ვერ გამოუტყდები ვინცა ხარ. თუ გამოუტყდი, შენ შერცხვები და ის კი ბოდიშს მოითხოვს — უკაცრავათ ვერ გიცანიო. თუ არა და შერჩა ხახვივით შენი გამოლანძღვა?

— მერე, შენ რას მიშველი დედა? შენ ხომ კუდში ვერ მსდევ? ასე რომ ჰქნა, შენი გამოისობით მეც მიცნობენ.

— აბა, მეც მასკას გევიკეთებ, ბოშო.

***

დაშინდნენ ქმრებიც.

— მაიკო! არა, არ იქნება, რომ არ წახვიდე მასკარადში?

— რატომ, რისა გეშინიან?

— არა, კი არაფრის მეშინიან, მაგრამ მაინ ι... ბევრი გლახა ენის

იმყოფებოდა, რუსეთს არ შეეძლო ომი გამოეცხადებია ოსმალეთისთვის, არ შეეძლო შეეყვანა ოსმალეთის ქვეყანაში თავისი ჯარები, თავისი სიტყვის დაურღვეველათ, და ევროპის უწინააღმდეგებლოთ. ერთი სიტყვით, ოსმალეთის ერთობის და განუყოფლობის თავდებათ იყო ევროპა.

პარიჟის ტრაქტატი, რომელიც სხვა თავისი მხრებითაც მეტის-მეტათ აბრკოლებდა რუსეთს, დღეს, კონფერენციის ძალით აღარ არსებობს. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს კონფერენციის დახურვის დროს, რომ ევროპა უარჰყოფს ოსმალეთის ხელუხლებლობის დაცვისაო. მაშასადამე დღეს ყოველს სახელმწიფოს სრული ნება აქვს, თუ სურვილიც ექნა, დაეცეს ოსმალეთს და გააწიაქოს მისი სამფლობელო...

ამის გამო შესაძლებელია იფიქროს კაცმა, რომ ამ გარდაწყვეტილებით ერთობ გაადვილდა ომის ლოდინი, გაადვილდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადება, და უეჭველია, რომ თუ ვისმეს ამ გვარი ომი სუროდა, ომი მალე უნდა გამოცხადდეს.

მაგრამ უკანასკნელი დეპეშები გვიქადიან ჩვენ, ვითომ ოსმალეთი თავის მოწინააღმდეგებს, სერბიას და ჩერნოგორიას, ურიგდებაო. ამ ქადილის ასრულება მარტო ერთს შემთხვევაში შესაძლებელი იქნება: თუ რუსეთს სურვილი ჰქონდა, არა სლავიანების აღდგინებისა ან სლავიანების ხალხებისგან ერთი ერცელი და დიდი სამეფოს შედგენისა, არამედ მხოლოდ პარიჟის ტრაქტატის დარღვევისა. ჩვენის აზრით თვითონ რუსეთის სარგებლობა, ჯერჯერობით, მარტო ამ უკანასკნელი მიზნის მიღწევას თხოულობდა, და არა პირველისას. უეჭლამ იცის რომ პარიჟის ტრაქტატმა—როგორც თ. გორჩაკოვმა სთქვა თავის ნოტაში—ხელი შეუკრა რუსეთს შავსზღვაზე და ოსმალეთის მხრით. ვისაც სხვისი დახმარება სურს, იმან თავდაპირველათ თავისი საკუთარი ხელები უნდა გაიხსნას, რომ მისთვის შესაძლო შეიქნეს სხვისი დახმარება. ამ მხრით კონფერენციამ მეტის-მეტათ შესამჩნეველი და ძვირფასი სარგებლობა მოუტანა რუსეთს: სისხლის დაუღვრელათ, იარაღის უხმარებლათ, ომის გამოუცხადებლათ, რუსეთმა 1871-ში ხელი გაიხსნა შავსზღვაზე და ნება დაიბრუნა ზედ საომარი ხომალდების ყოლისა. დღეს რუსეთმა აგრეთვე სისხლის დაუღვრელათ შეიძინა შემდეგისათვის უფლება შეეხოს ოსმალეთს და მოეპყრას იმას ისე, როგორც ყოველს თავისუფალს სახელმწიფოს შეუძლია მოეპყრას მეორე რომელსამე სახელმწიფოს. დღეს რუსეთმა, კონფერენციის საშუალებით, ჩამოაცილა ოსმალეთს ევროპის მფარველობა და ოპეკუნობა. ჩვენ გვგონია, რომ ეს საკმაო რეზულტატია, დღევანდელი დღისათვის. შემდეგში, როცა რუსეთი უმჯობეს დროს გამოარჩევს, და როცა ის დაინახავს, რომ მისთვის ბრძოლა საჭირო და შესაძლებელი იქნება, იმას უფრო ადვილათ და უფრო მკვიდრათ შეეძლება ომის გამოცხადება სლავიანების სასარგებლოთ. მაგრამ, როგორც უკანასკნელი რუსული ოფიციოზური გაზეთები გვიჩვენებენ, რუსეთი ხედავს ეხლა, რომ სლავიანების საქმე რუსეთის საქმე არ არისო (ნახეთ „Голосъ" და „Journal de St-Pétersbourg"). მეორეს მხრით, როგორც ახალი დეპეშიდამ სჩანს, თვითონ სლავიანების ქვეყნებშიც შემდგარა იმისთანა პარტია, რომელიც უარჰყოფს ყოველს უცხოეთიდამ მოსულს დახმარებას სლავიანებისთვის. ეს ორი გარემოება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ყველასთვის სასარგებლოთ გათავდეს აღმოსავლეთის საქმე: რუსეთმა სლავიანებს ის სარგებლობა მოუტანა, რომ დაარღვევინა ევროპას ოსმალეთის ხელუხლებლობის პრინციპი. დამზადდნენ ეხლა სლავიანები და განითავისუფლონ თავი, იმათ აწი ევროპა ხელს ველარ შეუშლის. მათის მხრით რუსეთის შემწეობაზე იმედის დაკარგვა და უარის თქმა თვითონ იმათაც დიდს სარგებლობას მოუტანს, და რუსეთსაც. ამით ორივე ქვეყნის შინაგანი წარმატება სრულიათ დაცული იქნება...

## საქართველო

### დღიური

** ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ დროს „ოზურგეთშიდ ჯერკიდევ ძვირობა არ არის, მხოლოდ ბალახმა აიწია ცოტა ასე, რომ ფუთი ექვს შაურათ რომ იყო, ეხლა ოთხ აბაზ ნახევრათ არის თითქმის. ამის მიზეზი არის ის, რომ მოწევის დროს ხშირათ უჩვეულო ქარები, ხშირი წვიმები და წყლების გარდარება იყო. სამწუხაროთ ჩვენდა, უბალახობა წელს ჩვენც შეგვაწუხებს და ჩვენს უცხო სტუმრებსაც. სიმინდი ფუთი შვიდ შაურიდამ ცხრა შაურზე ზევით არ არის, ღვინო მანერკა ექვსი შაურიდამ ორ აბაზ ზევით—გვარიანი და ისრე—ნაკლებათაც არის, ღომი ფუთი ოთხი აბაზი თუ ოთხ აბაზ ნახევარი; ქათამი აბაზათ, ექვს შაურათ და ორ აბაზათაც, რადგან ესენი სოფლიდამ შემოდის და სხვა ხორაგიც შეხედომაზე არის. ყირიმის პური, გამომცხვარი გირვანქა შაურათ, ძროხის ხორცი ოყა ხუთ შაურათ; ღორის-ოყა—აბაზათ და ქონი მარილიანი (ღორის) გირვანქა სამ. შაურათ. ეხლა ოზურგეთის მოვაჭრენი კი არა, იქ მცხოვრებლებიც მხიარულობენ ბევრის საზოგადოების შეკრების გამო. ჯერჯერობით ასრე გახლავს და აწ—ღმერთმა უწყის, რა იქნება."

ჩვენის აზრით ჩალისა და თივის სიძვირე ამხანათ უფრო „უცხო სტუმრების" სტუმრობას უნდა დავაბრალოთ.

** ღმერთო შენ ხელი მოუმართე ჩვენს „სასოფლო გაზეთს" და მისს რედაქტორს გამომცემელს უ. პ. უმიკაშვილს!" — იმედია ამ დალოცვას, ჩვენთან ერთად ჩვენი, მკითხველებიც გაიმეორებენ.—ამ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის დრო თუ მივიღეთ მხედველობაში, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგი ნომრებიც თავის დროზედ გამოვა. პირველი ნომერი „სასოფლო გაზეთისა" სწორეთ 15-ს ამ თვეს გამოვიდა, სწორეთ თავის ვადაზედ და თავის შინაარსითაც ეს ნომერი იმდენს ამბებს გვატყობინებს, რომ ზოგიერთი იმათგანი შევვიძლია ჩვენს მკითხველებსაც გაუზიაროთ.— მაგ. „სასოფლო გაზეთის" ამ წლის პირველს ნომერში იწერებიან ქიზიყიდამ:

„ქიზიყში ძროხისა და კამეჩის ავათყოფობა ძალიან გახშირებულია. საქონელს ამგვარათ ეტყობა ავათმყოფობა: პირი უსივს და საჭმელს ვერა სჭამს, თმა სცვივა, ტანში ასაქმებს და კვდება; რომელსაც არ ასაქმებს რჩება. ეს ავათმყოფობა გიორგობისთვის გასულს გაჩენილა და ქრისტეშობისთვეს გახშირებულა."

** აქვე, ამ ნომერში შემდეგს ამბავს ვკითხულობთ:

„ამ ზაფხულს რომ სომხითის სოფლებში კალია იყო, მეტადრე პოდას და პუმისსა ამის შიშით წრეულს პური არ დაუთესიათ. ეფიქრებათ, რომ ზაფხულს კალიის დადებული თესლი მერმის გამოვაო და პირნახულს წაგვიხდენსო. ამასთანავე დიდს გაჭირებაში არიან უპურობითა. თითო-ოროლა ფუთს ფქვილს და გამომცხვარ პურს ქალაქში ყიდულობენ და სოფელში ეზიდებიან."

** „სასოფლო გაზეთს" (№ 1) შეუტყვია, რომ სოფლის მღვდლებს გლეხებისაგან გარდასახადი მოაკლდებათ, შეუმცირდებათო ვიდრე აქამდინ იყო. თუმც ამ ხმის სინამდვილეს ხსენებული გაზეთი არ ამტკიცებს და არც ის იცის ნამდვილად—თუ როგორ შემცირდება ეს გარდასახადი, მაგრამ შემდეგი მაგალითი მოჰყავს:

„ერთკენ ქართლში კომლზე ამ გვარი წლის გარდასახადია: ერთი კოდი ხორბალი (იფქლი), ნახევარი კოდი ქერი, საზარებელი ერთი მუშა ან ერთი აბაზი, საშობაოთ ქათამი, ჯვარდაწერა ერთი თუმანი, მიცვალებულის დამარხვა და წლის რიგი ერთი თუმნიდამ ცამეტ მინეთამდის, მკის დროს

---

პატრონი ისარგებლებს ეხლა ამ მასკარადით და..

— მერე რაო, რა იქნება?

— არაფერი, რა იქნება, მაგრამ.. მაინც ისე... თუ არ დაიშლი და წახვალ, ეს პირობა მაინც დავდოთ: როდესაც ვისმეს ელაპარაკებოდე და მე გვერდით აგიარო, ისე დაიჭირე თავი, რომ არ გიცნოს, რომ შენ ჩემიანი ხარ.—ამ რიგათ მე შევიტყობ რასაც ვინმე გეტყვის და მეცოდინება შემდეგ იმისთანა კაცს, როგორ მოვეპყრო...

ამისთანა პირობის დადებით, როგორც ამბობენ, ბევრმა ქმარმა თავისი მასკიანი ცოლი გასცაო.—როდესაც ცოლი ვისმესთან მივიდოდა თურმე, საიდამაც იყო, იქვე გაჩნდებოდა მისი ქმარი და ხან დაჰხაროდა ცოლის მახვილობას და გამბედაობას და ხან „ჯლიქვსაც წაჰკრავდა" თურმე ასე ლაპარაკი როგორ შეიძლებაო...

**

განცხადება რამდენიმე დღით წინ დაიბეჭდა. ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ისეც იყო ნათქვამი, რომ მასკები და დომინოები (სამასკარადო მოსასხამები) ამა და ამ მაღაზიში ისყიდებაო. ერთი კვირით წინ დაიტაცეს მასკები და დომინოები, მაგრამ—ვინ რა მასკა ან როდის იყიდა, კაცმა ვერ შეიტყო. წარმოიდგინეთ, რომ ამ ქალაქში შესაძლებელი ყოფილა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, ყველაფერი დაიმალოს და საიდუმლოთ შეინახოს. დღემდინ კი ამის მაგალითი არავის ახსოვსო, როგორც ამბობენ.

— თქვენ ქალო, ემზადებით თუ არა სამასკარადოთ?

— იჰ, ვემზადები კი არა და! სად მცალია! სწორეთ იმ დღეს სოფელში უნდა წავიდე, ერთი კვირის ვადით.

— თქვენ ქალო?

— მე სამასკარადოთ არა დამიშავებია რა! ვისთვისაც რამე სათქმელი მაქვს და კარგათ ვიცნობ, უმასკოთაც კარგათ ვეტყვი.

მასკარადის შემდეგ ....სში ხმა გავარდა, რომ ასე გადაწყვეტილად მასკარადში წასვლის ვარის მთქმელ ქალებმა, მასკარადში ყველა მასკებს გადააჭარბესო. ამათ ბევრი ქმარი, საქმრო და სხვა „კაი კაცებიც" მოიმდურეს თუმც მასკარადში კი არ ყოფილან...

**

დადგა მასკარადის დღეც. უწინ რომ, მშვენიერი და თფილი დღეების გამო, ....ისის ბაღი სავსე იყო მოსეირნე მანდილოსნებით, ამ დღეს ესენი აღარ ჩანდნენ. სადღაც მიმალულიყვნენ: „ზოგი ავათ გახდაო, ოზოგი სოფელში წასულიყო და ზოგსაც იმისთანა საქმეები ამოსჩენოდა, მაინცა და მაინც დღეს, რომ, მგონი, სამს დღესაც ვერ მოიცლიდნენ".

საღამოს ცხრა საათია! „კეთილშობილთ კლუბის" ზალა და მისადები კარები გაჩაღებულია. მართლა დამავიწყდა მეთქვა, რომ მასკარადის გამმართველი საზოგადოება განცხადებაში საზოგადოებას ჰპირდებოდა, რომ კლუბის მისავალ კარებს ელეკტრონის სინათლით გავაჩაღებო.—რა მიზეზი იყო, არ ვიცი, მაგრამ საზოგადოებამ კი ეს დაპირება ვერ აასრულა.

იმ ქუჩაზე, სადაც კლუბი იყო, მაყურებელ ხალხს ტევა არ ჰქონდა. ყოველ მოსულ მასკას ეს ხალხი თავისებური ოხუნჯობით და დაფასებით ეგებება:—უჰ! უყურე, უყურე რა აცვია ამ ქალს?—დასწყევლა ღმერთმა რა ჩამოუფარებია პირზე?!—ბიჭო, ბებიაშენს აქ რა უნდა?—ჰო! ეს ვითომ ცირკის მასხარაა, ექვნებით რომ გამოწყობილა!.. და სხვა ამ გვარ.

**

მასკების „მსხვერპლებს" დიდიხანია თავი მოუყრიათ და, ერთის გულის ფანცქალით მოელიან, რომ აი, ან აგერ მოვა მასთან მასკა და ან აგერ.—ბევრს ეშინიან, რცხვენიან. მართლაც სასირცხვილოა, ჩემი „კაი კაცობა," რომ გამჟღავნებული გავიგონო...—ბევრი დარწმუნებულია, რომ მისი „კაი კაცობა" არავის არ გაუგონია ან არ უნახავს, იმნაირათ მორთო და მოაგვარა, მაგრამ შიში მაინც აქვს, რადგან იცის, რომ „ეშმაკს თვალი არ უჩანს". ბევრი შეხედავს თუ არა, რომ მასკა იმისკენ მოდის, უკან იხევს და ხალხში იმალევის. ბევრს აგერ კუთხეში ამოურჩევია ალაგი და „დგას თავისთვის"—აქ ვინ მომნახავსო, მაგრამ, რომ არც ეგონა და არც ფიქრობდა იმ დროს, აკი წამოადგა მასკა თავზე.

მ ა ს კ ა.—რატომ ეგრე კუთხეში მიმალულხარ. თითქოს გეშინოდეს, ან რისმესი გრცხვენოდეს? სწორეთ ისე მოკაზმულხარ, როგორც გუშინ წინ ოლქის სასამართლოში საწყალი იმ ტუსაღის ვითომც „დასაცველათ „იყავი გამოწყობილი. დღეს ალბათ თავის თავის დაცვა გინდა. აბა, ვნახოთ!—მე მითხრეს, რომ შენ იმ საწყალს ორასი მანეთი გამოართვი, და მის მაგიერ, რომ დაგეცო ბრალდებისაგან, როგორც სრულებით მართალი სული, ორასი თვე ციმბირი გაუჭაჯესო. თითო თვე თითო მანეთად დაუჟინე, განა? ამფერუმ შენს „კაი კაცობასა!"

უ მ ა ს კ ო.—ვინ გითხრა, ვინ მოგახსენა, მასკა, შენ ეს ამბები ასე დაწვრილებით. სულ ტყვილი უთქვამთ! მტრის ენაა, ნუ უჯერი...

ერთი მუშა, კალოობას ერთი ქათამი. ახლა ასე ამბობენ რომ ამ ს მაგივრად ეს გადახდებათო: კომლზედ ხუთი მანეთი, საქორწილო ორი მანეთი, მიცვალებულზე ოთხი მანეთი, პური და ქერი აღარ იქნებაო.“

*** 14 იანვარს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთის „კავკაზის.“ მოულოცავთ მკითხველებს რიგიანს გაზეთს. ვისაც თვალყური უდევნებია ამ გაზეთის მსვლელობისათვის, უეჭველია დარწმუნდება, რომ წლევანდელი წელი მისთვის შეადგენს ახალს ერას. ეა გაზეთი, როგორც სჩანს, მოცილებია იმ მოკლე და ვიწრო სფერას, რომელიც კაცობრიულ აზრის წინააღმდეგია; თვინიერ მისა, რომ ადგილობრივ მოვლენას, როგორც წარსულს და აგრეთვე აწმყოს ეტნოგრაფიულათ და ეტნოლოგიურათ დიდს ყურადღებას აძლევს, მან წარმოსთქვა, სხვათა შორის, თავის ფელტონში: „პოლიტიკა და საზოგადოება“, რომ „მხოლოდ პოლიტიკური განათლება დააყენებს რუსეთს სიმსწვრივ იმ დიდ მიზნებთან, როგორიც არის შინაგანი რეფორმები, —რომელნიც ჯერ კიდევ დაბოლოებას მოელიან და აგრეთვე აღმოსავლეთის კითხვის გარდაწყვეტა. მხოლოდ ეს (პოლიტიკური განათლება) მისცემს ღონისძიებასმმართებლობას, —რომელიც ერთობ დიდ მძიმე ტვირთს ქვეშ შრომობს, —უსათუოდ მოუწოდოს საზოგადოებას, მოსპოს დარჩენილი პრივილეგიები და საზოგადო სამხედრო მოვალეობასთან და საზოგადო გარდასახადის სისტემასთან, დაადვას ხალხს საზოგადო პოლიტიკური და მოქალაქობრივი მოვალეობა....“

ვისურვებთ, რომ ამგვარ, მიმართულების გაზეთები ჩვენში ხშირი იყოს.

*** ჩვენ ქალაქლებმა მარტო ეხლა, ამ იანვრის დამდეგიდამ ვიგრძენით მიმავალი ზამთრის სუსხი. ეს ერთი კვირაა ქალაქში ისეთი სიცივეები დგას, რომ—თუ არ თფილი ტანსაცმელით, გარეთ გამოსვლა ჭირს. თუმც ხანდისხან მზე კიდეც გამოაჭყეტს ხოლმე თვალებს, მაგრამ მისს სხივებს, ნისლიანი დღეების გამო, ისეთი სითბო აღარა აქვსთ, როგორც ახლად წასრული წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ჰქონდა. მოსალოდნელი იყო თოვლი და, მართლაც, ორშაბათს, 17 ნოემბერს დილით ადრე რომ გამოვიხედეთ, მთელი ქალაქი თოვლით მოფენილი იყო.

# უცხო ქვეყნები

**ალმოსავლეთის კითხვა.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ სტამბოლის კონფერენცია, რომელიც იმისათვის იყო მოწვეული, რომ „აღმოსავლეთის კითხვის“ დაბოლოებისათვის რამე გაეკეთებია, დღეს დაიხურა, მაზედ მყოფი ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელნი—ზოგი გაემგზავრენ, გამოვიდნენ სტამბოლიდამ და ზოგიც გამოსვლას ემზადება. სხვათაშორის, ამ ნომერში დაბეჭდილ ტელეგრამმიდამ შეიტყობთ, რომ გ. იგნატიევიც გამოსულა სტამბოლიდამ და ათინაში მისულა. რა იმედით გავისტუმრეთ ეს წარმომადგენელნი და დღეს კი რა ნამოქმედებით გვიბრუნდებიან?! ვითომც მათს კონფერენციაზე მყოფნობის შედეგს ჩვენ მხოლოდიმაში ვხედავთ—რომ მიტჰად-ფაშას ოსმალოს კონსტიტუციის პროექტი დააჩქარებიეს და, როდესაც ეს უკანასკნელი მზათ იყო, ოსმალოს მმართებლობას მისი საყოველთაოთ გამოცხადება. „აღმოსავლეთის კითხვას“ კი, სტამბოლის კონფერენციის სხდომების შემწეობით, ახალი ფეხ-ადგმული ბავშვის ნაბიჯის ოდენა ნაბიჯიც არ გაუდგამს. პორტამ ერთს ამ ხსენებულ კონფერენციის სხდომებთაგანზე შემდეგს 7 მუხლში წარმოსთქვა მტკიცე ვარი წარმომადგენლების მოთხოვნილებებზე: „1) რომელიმე მიწის დათმობა სერბიისა და ჩერნოგორიისათვის არ ეთანხმება ოსმალოს კონსტიტუციის პირველს მუხ. 2) სლავიანების პროვინციების დაჰყოფა, დანაწილება შეუძლებელია, რადგან ამ პროვინციებში მცხოვრები ოსმალელები და ბერძნები სასტიკი წინააღმდეგნი არიან და, ესეც რომ არ იყოს, ოსმალოს მმართებლობასაც არ შეუძლიან თავისი ქვეშევრდომების ცალკე ტომებათ დაჰყოფა. 3) პორტა ვარს ჰყოფს ადგილობრივი მცხოვრებლებიდამ შეადგინოს მილიციები და ჟანდარმერიები, რადგან, იმ ადგილების ოსმალელ და ქრისტიანეთ მცხოვრებლებს შუა, ეს ზომა მუდმივი უკმაყოფილების და შურის-ძიების მიზეზათ გახდებაო. 4) პროვინციის გუბერნატორების დანიშვნაზე გარეშე ქვეყნების ელჩების ნება დართულობით, არც კი შეიძლება ლაპარაკი, რადგან ყოვლად-შეუძლებელია, რომ ამაზე როდისმე ოსმალოს მმართებლობა დათანხმდეს. 5) ხალხთა-შორისი კომმისსიის დანიშვნაზედაც უარს აცხადებს პორტა, რადგან ეს მისი დამოუკიდებულების პრინციპს, რომელიც პარიჟის ტრაქტატმა მას მიანიჭა, ეწინააღმდეგება. 6) პორტის უფლების შემცირება გარდასახადებისაგან შეკრებილ ფულის მოხმარებისათვის, ეწინააღმდეგება მისს უზენაეს უფლებების პრინციპს და 7) სლავიანების პროვინციებში დამოუკიდებელ სამსჯავრების დაწესებაზედაც უარს ამბობს პორტა, რადგან ეს მისს ახალ კონსტიტუციის საფუძვლებს ეწინააღმდეგება.“—დღეს ეს არავისთვის დამალული არ არის, რომ ოსმალოს მმართებლობა, როგორც სტამბოლის კონფერენციის წინ, ისე თავათ კონფერენციაზედაც ამ დარწმუნების იყო და თავის მოქმედებისათვის ეს პროგრამმა ჰქონდა წინათვე შემუშავებული.

— ოსმალელებს სტამბოლის კონფერენციაზე წარმომადგენლებისათვის, თავისებური სახელ-წოდება დაურქმევიათ. მაგ. გენ. იგნატიევს „რკინის-კაცს“ (იგნატ-ეფენდი) უძახიან და სალსბიურს წინეთ „მოსკვიჩების კვერს“ ეძახოდნენ და ამ უკანასკნელად ეს სახელი-„ხმოვანს ბუკზე“ შეუცვლიათ და ეხლა ამას ეძახიანო.

ოსმალო, „პეშტის ლლოიდის“ კორესპონდენტი ამ სიტყვებით აწერს ოსმალოს უმთავრესს ვეზირთან მიტჰად-ფაშასთან თავისა უდიენციას. „გუშინ ორს (14) იანვარს მე [illegible] ნე უმთავრესს ვეზირს სხვა და სხვა გამოჩენილი პირებისაგან მოცემული ბარათები, რომლებითაც მე მაცნობდნენ ვეზირს და დღეს საფეტ-ფაშამ მითხრა, რომ მითჰად-ფაშა მზათ არის მიგიღოსთო. შუა დღისას საფეტ-ფაშა და მე ერთად წაველით პორტაში. უმთავრესს ვეზირმა მიმიღო თავის ოფიციალურ კაბინეთში, რომლის მორთულობას ეტყობოდა, რომ უმთავრესსი საქმეები და ვეზირის განკარგულებები აქედამ უნდა გამოდიოდნენ. პირველი თვალის გადავლება მითჰადის სახის მეტყველებაზე მნახველს არწმუნებს, რომ ის მუდამ ღრმა მოაზრებებში ჩაფიქრებული სწავლული ვინმე უნდა იყოს. ძიელ პატივის ცემით მიმიღო და პირველი მისი კითხვა ვენგრიაზე იყო, და შემდეგ ამჟამითი პოლიტიკური საქმების მგომარეობაზე ილაპარაკა.—„ჩვენ მივანდევით, სთქვა მან, ჩვენს წარმომადგენლებს სტამბოლის კონფერენციაზე, კატეგორიული ვარი ეთქვათ, რომ ჩვენი მმართებლობ უარს ჰყოფს ზედამედველი კომმისიის დანიშვნაზე, რაფორმისაც უნდა ვგირჩიოს ევროპის სახელმწიფოებმა და, გარდა ამისა, აგრეთივე უარი ეთქვათ პროვინციებისათვის ჩვენგან გუბერნატორების ამორჩევებში უმთავრესი სახელმწიფოების გარევაზე. ამ გვარ მოთხოვნილებებზე არც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავის თავს პატივს ცემს, არ უნდა დათანხმდეს და ამისთვის ვერც ჩვენ შეგვიძლია თანხმობა განვაცხადოთ.“ როდესაც მე გადაკვრით გავაგებიე, რომ შესაძლებელია უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი გავიდნენ სტამბოლიდამ, იმან მომიგო: რა გაეწყობა! ძიელ გვწყენს, მაგრამ იმ წინეთ ნათქვას მათს ორს მოთხოვნილებებზედ ჩვენ არას გზით თანხმობის განცხადება არ შეგვიძლიან... დანარჩენ მოთხოვნილებებზე შეიძლება კიდევ მოლაპარაკება. თუ მოხერხთა მშვიდობია-

---

აგერ კუთხეში ორი ჩინოვნიკი დგას. ერთი იმათგანი ფრაკში გამოწკიპულა და მეორეს, ფრაკი ვერ უშოვნია და ჩოხა ჩაუცვამს.—ფრაკიანს გვახსოვს, რომ უწინ წვერები არ ჰქონდა, მაგრამ მმართებლობის ცნობილი განკარგულებით იმასაც უ'არგებლნია და დღეს წვერები მოუშვია.

დაინძრა მასკა და ზედ ამათზე მოიჭრა. მასკას პირის სახეზე შავი მასკა აქვს,—რომელიც, თითქოს, ამბობს: „მე ყველაფრის თქმა შემიძლიან ისე, რომ პირის სახის სიწითლეს ვერავინ შემნიშნავსო“. ტანზედ შავი კაბა აცვია და კაბაზე თეთრი წინწკლებიანი დომინო ახურავს; თავსე ბებრის ჩეფჩიკი და ამიტომაც ხმა გამოუცვლია: უკბილო ბებრუცანასავით, მაგრამ ცხარეთ ლაპარაკობს:

მ ა ს კ ა. (ჩოხიანს) უკაცრავათ შენთან, მაგრამ პირველად აი ამ ფრაკიანს უნდა ვკითხო რამე. ხომ იცი, რომ ჩვენში ფრაკს დიდი ხანია პატივი და უპირატესობა აქვს. (ამ ლაპარაკში ჩოხიანი გაძვრება და მასკას ფრაკიანი რჩება ხელში. ფრაკიანს)—რა არის ყმაწვილო, რომ მთელი ...ისი ამტუტეთ შენ და შენმა ცოლმა? რით ვერ მოულეთ ბოლო ერთი ერთმანერთს? თუ წამალმა ვერ გასჭრა? რატომ ემდური გ. პროგნაძეს? შენ იცი ჩვენებური ანდაზა: „მგელს მგელობა დაუვარდა და ტურამ ქვეყანა დააქციაო“; პროგნაძესი ნუღა გეშინიან, უფრო მეზობელი ლევანაძის გეშინოდეს...

ფ რ ა კ ი ა ნ ი. მასკა, შენ ისე ლაპარაკობ, რომ, თითქოს, იმ ჩემს მეზობელს შენი ქმრისათვის გამოაბას კიდეც რქები... (მასკა გარბის).

მასკა-მოლოზანი, თუმც სიტყვა პასუხი კი სრულებით მოლაზანის არა აქვს, მიდის წინა კბილებ ჩაყრევინებულ კაცთან.

მ ა ს კ ა.—ლამაზი კაცი ხარ, რომ ეგ კბილები არ გიშლიდეს. რატომ არ ჩააყენებინებ?

უ კ ბ ი ლ ო. — მეც დიდი ხანია ვგრძნობ, ჩემო მასკა, ჩაყენების საჭიროებას, მაგრამ რავქნა, რომ ამ თქვენს ქალაქში ოსტატი ვერ ვიშოვნე. ეგების შენ იცნობდე ვისმეს და მასწავლე!

***

აგერ ქალაქის ბობოლა დგას და მეორე ბობოლას ელაპარაკება.—პირველ ბობოლას ყველა იცნობს, ვინც არის ერთის ნიშნით: იმას ;უძილობის გამო თვალში სინათლე, აქვს გამოლეული. შენიშნავს ამ ბობოლას წითლურად და ეჟვნებით მოკაზმული მასკა და ეჟვნების ჟღარუნით და ცეკვა თამაშით მიირბენს მასთან.

მ ა ს კ ა. ძიდევ, რამდენი ხანი იქნებით თქვენ თქვენს ალაგზე?

ბ ო ბ ო ლ ა. როგორ? ეგების შენ გინდა, მასკა, ჩემი ადგილი დაიჭირო?

მ ა ს კ ა. (ეჟვნებს შეანძრევს). სრულებითაც არა, შენმა მზემ! მე შენსავით მეტიჩარა არ გახლავარ!... ამ დროს ჩამოურბენს ამ ბობოლასვე მეორე მასკა და წაულაპარაკებს: „შენ აქ ამ დროს რა გინდა? ბძინავს, თუ ფხიზელი ლაპარაკობ?“ თუმც არავის კი არ გაუგონია, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ ბობოლა, ვითომც, ამ მეორე მასკას შენიშვნაზე გამწყრალა და მიუძახებია მისთვის: „მასკა ვის უბედავ შენ მაგისთანა ლაპარაკსაო!?...

ეს ორი მასკა, საზოგადოთ, ყველას ყურადღებას იქცევენ ამ საღამოს. ბევრს მოხვთათ მათგან; ბევრს მწარე და ჭკუაში მოსაყვანი სიტყვები უთხრეს. მაგ. კარგს გამოსაჩენ ადგილზე ერთს, ახლად განწესებულს, ჩინოვნიკთან, მიირბენს ეჟვნებიანი მასკა და ჰკითხავს:

მ ა ს კ ა.—ყელზე, რომ ჯვარი გკიდია იმის მადლი გაგიწყრეს, თუ მართალი არ მითხრა: სანამდისინ ამ ახალს თანამდებობას იშოვნიდი, ბევრი ეწვალე?

ჯ ვ რ ი ა ნ ი. სრულებითაც არა! ღმერთმა უშველოს, სხვამ მიშოვნა.

მ ა ს კ ა. ბანა მე კი არ ვიცი, რომ სხვამ გიშოვნა!...

სამხედრო მუნდირში გამოწყობილი, ხმელი, ულაზათო და ერთი ახმახი პირი მიესალმება ერთს მასკას:

—გამარჯობა მასკა! და ხელს გაუწვდენს.

მ ა ს კ ა.—ხელი იქით! ხელთათმანები არ გამისვარო!

მ უ ნ დ ი რ ი ა ნ ი. — ფრთხილათ ილაპარაკე, მასკა, თორემ შენი ეჟვნები ერთობ ჟღარუნობენ!...

მ ა ს კ ა.—გამკეთებელის ბრალია!..

აგერ ახალი დაქორწილებული ვაჟი დგას. მარტო არის მთელი საღამო და რაღაცაზედ ძიელ ჩაფიქრებულია.

მ ა ს კ ა.—რატომ ეგრე ჩაფიქრებული ხარ? მე მითხრეს, რომ შენ ცოლი შეგირთავს?

ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა. — მართალი გაგიგონია, ჩემო მასკა!

მასკა.—მერე რა დროს ცოლის შერთვა იყო ეხლა, ამ შიშობაში? ვისაც ჰყავს იმანაც უნდა გაუშვას და შენ ეხლა შეირთე?

ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა.—მეც მიტომ შევირთე, ჩემო მასკა, რომ მალე გაუშვა.

მ ა ს კ ა.—გაუშვა, თუ აუშვა?...

უმასკო

ნათ დაბოლოება ამ საქმის, ხომ კარ-გი, თუ არა და·რაც უნდა გახთეს, თუ გინდ სულ მარტონი დავრჩეთ, ჩვენ მაინც თამამათ შევეგებებით ჩვენს მომავალს.“

—წარსულ ნომერში რომ შეცდომით ნათქვამი იყო—ვითომ გენერალი კლაპკა ავსტრო-ვენგრიის წარმომადგენლათ დაესწრო კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე, კლაპკა ავსტრიის სამსახურში არც კი ითვლება, და ცხოვრობს სტამბოლში, როგორც კერძო პირი. ეს გამოჩენილი ვენგრიის პატრიოტი ოსმ. ლეთს ეხლა იმიტომ ეხმარება, რომ 1849 წ. ოსმალეთმა გადაარჩინა მრავალი ვენგრიელები სიკვდილისაგან, ვენგრიის ჯარის დამარცხების შემდეგ პასკევიჩისაგან.

# განცხადებანი


### ქალაქის გაგგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთოოთ, რომ, ამ წლის 21 იანვარს ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, დანიშნულია უკანასკნელი ვაჭრობა (ტორგი) ცხენების ბეგარის შემოსავლის მოკრებისათვის იმ პირობებით, რომელიც გამგეობაშია, სამის წლის ვადით იმ დღიდამ, რა დღესაც ეს ვაჭრობა დამტკიცებული იქნება.

ამის გამო იმ პირთ, რომელნიც განაცხადებენ სურვილს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისას, უნდა წარმოადგინონ გამგეობაში კანონით დადებული დოკუმენტები და გირაო, რომელიც წლიური იჯარის ფულის ნახევარს უნდა უდრიდას და რომელიც უნდა იყოს: ან ნაღდი ფული, ან კრედიტის ბანკის ბილეთები და ანუ სხვა სარგებლიანი ქაღალდები.

განცხადება, ამ იჯარაში მონაწილეობის მიღების თაობაზე, უნდა შეიტანონ გამგეობაში ან სიტყვიერად და ანუ დაბეჭდილის კონვერტით ნაშუადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობის (ტორგის) შედეგი საბოლოოთ ქალაქის რჩევისაგან იქმნება დამტკიცებული.

(3—3)

### ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების თანხმად, გამგეობის თანდასწრებით ამ იანვრის 20-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (ტორგი) მტკვრით შემოტანილ ტუჩზე ხარჯის აღების იჯარაზედ იმ პირობებით, რომელის ნახვა გამგეობაში შეიძლება, სამის წლის ვადითა იმ დღიდამ, რა დღესაც ეს ვაჭრობა დამტკიცებულ იქნება.

ამის გამო იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ, რომ ამ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ, უნდა წარმოადგინონ კანონით დადებული დოკუმენტები და გირაო, რომელიც წლიურ იჯარის ფულის ნახევარს უნდა უდრიდეს და რომელიც უნდა იყოს: ან ნაღდი ფული, ან კრედიდის ბანკის ბილეთები და ანუ სხვა რომელიმე სარგებლიანი ქაღალდები.

ვაჭრობის შედეგი საბოლოოთ ქალაქის რჩევისაგან უნდა იქმნეს დამტკიცებული, თუ ვაჭრობის დროს შემოძლეული ფული იმაზე ნაკლები არ იქნება, რაც ადრე იყო.

განცხადება, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების სურვილზე, შეიძლება შეიტანონ გამგეობაში ან სიტყვიერად და ანუ დაბეჭდილის კონვერტებით.

(3—3)

## LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

—

## pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—97

## წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მეცნარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. კლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქიშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

—

## პომადა
## „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზია'ში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.



ეს პომადა “Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იაკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი კლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავარობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.




ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



## ხელის პამადა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმაელობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. (54—45)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 იანვარს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 83 | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 18 იანვარს | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 35 |
| ქერი ფუთი. . . . | 1 | — |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 65 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Января 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.